საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის გავლენა ჯანმრთელობის დაზღვევის კერძო ბაზარზე

თამარ კაციტაძე

ანა არველაძე

თეონა ფერაძე

ჯგუფი N44

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროექტის ხელმძღვანელი: ზურაბ ჭიაბერაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თამარ კაციტაძე

ანა არველაძე

თეონა ფერაძე

10 ივნისი,2017 წ.

აბსტრაქტი

შესავალი: სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის გავლენას ჯანმრთელობის დაზღვევის კერძო ბაზარზე. საქართველოში განხორციელებული უამრავი რეფორმის ფონზე ჯანდაცვის სისტემაში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც საჭიროებენ იდენტიფიცირებას, დამუშავებას და მიღებული შედეგების მიხედვით რეკომენდაციების ჩამოყალიბებას.

რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში ამაღლდება საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირების ხარისხი.

მეთოდოლოგია: დასმული ამოცანების გამოსავლენად და გასაანალიზებლად გამოყენებულ იქნა მეორადი მონაცემების დამუშავება.

შედეგები: მეორადი მონაცემების დამუშავების შედეგად გამოიკვეთა ჯანდაცვის სისტემაში არსებული ძირითადი პრობლემები და მიმდინარე აქტუალური საკითხები. კერძოდ: ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების გადანაწილება, პროგრამის ეფექტური მართვა,კერძო სადაზღვევო ბიზნესის განვითარება და სხვ.

დისკუსია, დასკვნა: მეორადი მონაცემების დამუშავების შედეგად მოხდა მონაცემების დამუშავება, განხილვა, დისკუსია და რეკომენდაციების ჩამოყალიბება იდენტიფიციებულ აქტუალურ საკითხებზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, კერძო დაზღვევა, ჯანდაცვის სისტემის კანონმდებლობა, უტილიზაცია, უნივერსალური მოცვა.

ABSTRACT

Introduction : Master's thesis includes the impact of the universal health care program on health insurance in the private market. On the background of the healthcare system reforms numerous important issues have revealed that require identification and processing followed by elaboration of recommendations according to the results.

Methodology: The processing of secondary data was used to identify and analyze targeted tasks.

Results**:** Based on gathered data a lot of important issues were identified from the perspective of respondents, as far as understanding and vision of health professionals are important to have better understanding regarding system performance and problems, such as: Access to Healthcare, Distribution of State Budget Expenditures, Effective Management of the Program and Development of Private Insurance Business.

Discussion, Conclusion: Based on research and data analysis important findings were identified and recommendations were developed.

Key Words: universal health care program, private insurance, health system legislation, utilization, universal cover.

მადლობა

მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების პროფესორს, ბატონ ზურაბ ჭიაბერაშვილს, რომელიც დაგვეხმარა სამაგისტრო ნაშრომის სწორად წარმართვაში და კვლევის მეთოდების განსაზღვრაში, რამაც რელევანტური დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა და აღნიშნულ თემას მეტი პრაქტიკული ღირებულება შესძინა.